# პირველადი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების პროექტის ანგარიში

## სექტემბერი, 2019 წელი

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვისა სამინისტროს პროექტის - სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება პირველად ჯანდაცვაში - 2019 წლის 1-30 სექტემბრის პერიოდში საპილოტე დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი.

1-დან 30 სექტემბრამდე პროექტის 5 საპილოტე დაწესებულებიდან გადმოცემულია სულ 19743 ვიზიტის მონაცემი, რაც შეესაბამება 7540 უნიკალურ პაციენტს (ანუ სექტემბრის თვეში საშუალო უტილიზაცია შეადგენდა 2,7 ვიზიტს/პაციენტზე).




მონაცემთა კოლექტორში გადმოცემული უნიკალური ბენეფიციარების ასაკობრივი განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ.




უტილიზაციის მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგია:




რაც შეეხება ცალკეულ დაწესებულებებს, მონაცემები შემდეგია: კურაციოდან 6572 ვიზიტი/2814 პაციენტი (უტილიზაცია 2,3), საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრიდან 4141 ვიზიტი/2055 პაციენტი (უტილიზაცია 2,0), მედკაპიტალიდან 1883 ვიზიტი/1178 პაციენტი (უტილიზაცია 1,6), ჰოლდინგი 23-დან 7042 ვიზიტი/1449 პაციენტი (უტილიზაცია 4,9), კლინიკა მედიკორიდან 105 ვიზიტი/44 პაციენტი (უტილიზაცია 2,4).




კლინიკა „მედიკორიდან“ დაიწყეს მონაცემების გადმოცემა, თუმცა ჯერჯერობით მათი რაოდენობა მცირეა, რადგანაც ახალი ელექტრონული პროგრამის დანერგვის გამო გარკვეული ხარვეზებია ლაბორატორიული მონაცემების დაფიქსირებასთან დაკავშირებით, რაც მომდევნო თვიდან გამოსწორდება. დანარჩენი საპილოტე დაწესებულებებიდან მონაცემები უკვე მოდის რეგულარულ რეჟიმში და სამედიცინო პერსონალიც მიეჩვია ელექტრონულ ისტორიებში მუშაობას. ამ თვეში ასევე შეიცვალა მენეჯმენტი საპილოტე დაწესებულება „კურაციოში“, რის გამოც მათთან საჭირო გახდა ხელახალი კომუნიკაცია პროექტის აქტივობებთან დაკავშირებით, თუმცა ამჟამად მათი შიდა ელექტრონული სისტემა შეფერხების გარეშე მუშაობს და მონაცემებიც რეგულარულ რეჟიმში მოდის.

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ხარისხის ინდიკატორებს, მწეველობის სტატუსის შეფასებასთან დაკავშირებით, სმეც-ს გარდა სხვა დაწესებულებებში მონაცემების დაფიქსირება არასრულყოფილად ხდება, ასევე კვლავ პრობლემაა გლუკოზის გაზომვასთან მიმართებაში დიაბეტის, გიდ-ისა და ჰიპერტენზიის შემთხვევაში.

დიაბეტის, გიდ-ისა და არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზებით განხორციელებული 3809 ვიზიტიდან 1213 ვიზიტზე დაფიქსირდა არაკონტროლირებული არტერიული წნევა (სისტოლური წნევა ≥ 140მმ ვწყ სვ), ხოლო მთლიანად მომართულ პაციენტებში 3050 ვიზიტზე

დაფიქსირებულია მაღალი არტერიული წნევა, რაც მთლიანი ვიზიტების დაახლოებით 15,4%-ს შეადგენს და გვიჩვენებს რომ ჰიპერტენზიის გავრცელება მოსახლეობაში საკმაოდ მაღალია და შესაბამისად სკრინინგული ღონისძიებების გატარება ამ მიმართულებით ძალზედ მნიშვნელოვანია მაღალ წნევასთან დაკავშირებული გართულებების თავიდან აცილების მიზნით. ანალიზი ცალკეული დაწესებულებების მიხედვით იხილეთ ქვემოთ.

## 1. საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი - პერიოდი 1-30 სექტემბერი 2019




## 2. მედკაპიტალი - საანგარიშო პერიოდი 1-30 სექტემბერი, 2019 წელი




### 3. კურაციო, საანგარიშო პერიოდი 1-30 სექტემბერი, 2019 წელი




### 4. ჰოლდინგი 23, საანგარიშო პერიოდი 1-30 სექტემბერი, 2019




## 5. მედიკორი, საანგარიშო პერიოდი 1-30 სექტემბერი, 2019




### სამედიცინო მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები ცალკეული საპილოტე დაწესებულების მიხედვით, სექტემბერი 2019

| მონაცემი | საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრი | მედკაპიტალი | კურაციო | ჰოლდინგი 23 | მედიკორი |
|---|---|---|---|---|---|
| ვიზიტების რაოდენობა | 4141 | 1883 | 6572 | 7042 | 105 |
| უნიკალური პაციენტი | 2055 | 1178 | 2814 | 1449 | 44 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შაქრიანი დიაბეტი | 231 | 119 | 59 | 348 | 3 |
| ჰიპერტენზია | 458 | 258 | 434 | 1115 | 52 |
| გიდ | 220 | 107 | 40 | 365 | 2 |
| ფქოდ | 28 | 6 | 13 | 57 | 0 |
| ასთმა | 21 | 7 | 10 | 102 | 0 |
| სხვა | 3183 | 1386 | 6016 | 5055 | 48 |
| წნევა გაიზომა | 2916 | 1272 | 312 | 7042 | 105 |
| წნევა გაიზომა დიაბეტის დროს | 192 | 110 | 3 | 348 | 3 |
| წნევა გაიზომა ჰიპერტენზიის დროს | 403 | 239 | 32 | 1115 | 52 |
| წნევა გაიზომა გიდ-ის დროს | 192 | 103 | 3 | 365 | 0 |
| მწეველობის სტატუსი შეფასდა | 1168 | 0 | 165 | 0 | 105 |
| მწეველი | 937 | 0 | 88 | 0 | 16 |
| ყოფილი მწეველი | 59 | 0 | 1 | 0 | 0 |
| არამწეველი | 172 | 0 | 76 | 0 | 89 |
| კონსულტირება ჩატარდა მწეველობაზე | 4141 | 0 | 6572 | 0 | 67 |
| გლუკოზა გაიზომა | 203 | 0 | 6 | 576 | 0 |
| გლუკოზა გაეზომა დიაბეტის დროს | 24 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გლუკოზა გაიზომა ჰიპერტენზიის დროს | 40 | 0 | 2 | 51 | 0 |
| გლუკოზა გაიზომა გიდ-ის დროს | 17 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სისტოლური წნევა ≥**140** | 496 | 558 | 32 | 1951 | 13 |
| სისტოლური წნევა ≥**140** დიაბეტის დროს | 40 | 52 | 1 | 114 | 0 |
| სისტოლური წნევა ≥**140** ჰიპერტენზიის დროს | 124 | 140 | 10 | 578 | 4 |
| სისტოლური წნევა ≥**140** გიდ-ის დროს | 36 | 71 | 0 | 43 | 0 |
| იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥**90** | 7 | 30 | 3 | 320 | 0 |
| იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥**90** დიაბეტის დროს | 0 | 2 | 0 | 21 | 0 |
| იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥**90** ჰიპერტენზიის დროს | 0 | 6 | 3 | 52 | 0 |
| იზოლირებულად დიასტოლური წნევა ≥**90** გიდ-ს დროს | 7 | 2 | 0 | 0 | 0 |